

# ქვეყანაში სერიოზული ეკონომიკური კრიზისია<sup>1</sup>

გაზეთი “ახალი თაობა” – 12 იანვარი, № 8, 2009

## ინტერვიუ ექსპერტ ლადო პაპავასთან

– ბაზონო ლადო, როგორ შეაფასებდით ქვეყანაში შექმნილ ვითარებას. რამდენად სერიოზული საფრთხეების წინაშე დგას მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში საქართველოს ეკონომიკა?

– ქვეყანაში შექმნილი ვითარება შეიძლება შეფასდეს, როგორც კრიზისული. ჩვენ სახეზე გვაქვს აშკარად როგორც პოლიტიკური კრიზისი, ასევე ეკონომიკური. მისი გამოვლენის რამდენიმე ნიშანი არსებობს. კრიზისი უმთავრესი გამომწვევი რუსეთთან ომის წაგება. დღეს ოფიციალურად თბილისი საქართველოს ტერიტორიის უფრო ნაკლებ ნაწილს აკონტროლებს, ვიდრე ომამდე აკონტროლებდა, რაც დღის წესრიგში აყენებს ხელისუფლების პოლიტიკური პასუხუსმგებლობის საკითხს. პოლიტიკური კრიზისი იმაშიც გამოიხატება, თუ რა სიტუაციაა შექმნილი პარლამენტში. პრაქტიკულად შეიძლება ითქვას, რომ ის, სამწუხაროდ, უსუსური ორგანოა, რომელსაც თითქმის არც არანაირი ფუნქცია არ აქვს. და მესამე ისაა, რაც ხდება მთავრობაში, როცა კეთდება ძალზედ გაუგებარი დანიშვნები, ცვლილებები, იქმნება გაუგებარი კომისიები. პრაქტიკულად ხდება ადგილზე ტკეპნა. ეს ყველაფერი საკმაოდ სერიოზული კრიზისის ნიშანია. ავიდოთ თუნდა ის, როგორ დაინიშნენ ბოლო მინისტრები და ვინ და როგორ დაინიშნა, მაგალითად, კულტურის და სპორტის მინისტრად. რაც შეეხება ეკონომიკურ სფეროს, ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტმა ერთხელ თქვა, რომ საქართველოში არის

<sup>1</sup> ინტერვიუს ბოლო ნაწილი, სადაც საუბარია ე.წ. “ეკონომიკურ გმბმაზე” გაზეთის რედაქციამ ხელოვნურად დაამახინჯა: ეტყობა, იმ პიროვნებას, ვიზეც საუბარი იყო ინტერვიუში რედაქცია ნაყიდი აქვს. ამიტომ საგაზეთო პუბლიკაციის შემდეგ იხილეთ ინტერვიუს ის სრული ტექსტი, რომელიც გაზეთის რედაქციას გადაეცა ჟურნალისტის მიერ.

ეკონომიკური კრიზისი და ამის მიზეზი არის გლობალური კრიზისი. შემდეგ თქვა, არა საქართველოში ეკონომიკური კრიზისი ჯერ არ არისო, თანაც ქვეყანაში გლობალური კრიზისი ჯერ არ შემოსულაო. როგორც მას ტრადიციულად სჩვევია, თავისივე განცხადების უარმყოფელი განცხადება გააკეთა. ასევე თქვა, რომ 2009 წელი იქნება მძიმე კრიზისული წელიო. მერე თქვა, რომ 2009 წელში კი იქნება სირთულეები, მაგრამ არ იქნება კრიზისულიო. რეალურად ქვეყანაში საკმაოდ სერიოზული ეკონომიკური კრიზისია და ეს გამოიხატება რამდენიმე პარამეტრში. პირველი – რა პრობლემებიც შეექმნა ჩვენს დასაქმებულებს. დასაქმება მცირდება. კერძო სტრუქტურები ამცირებენ თანამშრომლებს. ეკონომიკური აქტიურობის შემცირების პირობებში, ბუნებრივია, სამსახურებიდან დაითხოვება ხალხი. შედეგი კი ის არის, რომ რეალურად მცირდება ქვეყანაში წარმოებული პროდუქტი. ეს ყველა სექტორს ეხება. გნენავთ, საბანკო სექტორი ავიდოთ, გნებავთ სამშენებლო სექტორი, რომელიც თითქმის გაჩერებულია. პრაქტიკულად გაჩერებულია ეკონომიკის ყველა სეგმენტი. ასე, რომ კრიზისული ვითარება აშკარად ჩამოყალიბდა. მიუხედავად ამისა ეკონომიკური თვალსაზრისით, ქვეყანა მაინც არ დადგება კატასტროფის წინაშე, იმიტომ, რომ ძალზედ დიდი თანხა გაცხადდა ეკონომიკურ დახმარებაზე. მხედველობაში მაქვს გასული წლის 22 ოქტომბრის ბრიუსელის კონფერენცია, სადაც გადაწყდა, რომ 2010 წლის ჩათვლით ქვეყანაში უნდა შემოვიდეს 4,5 მლრდ ლოდარის გრანტი და კრედიტი. ეს დიდი ოდენობის თანხაა იმისათვის, რომ ქვეყანა კატასტროფის წინაშე არ დადგეს. თან ერთი პარადოქსულ მომენტსაც მინდა მივაქციო უურადღება: რომ არა საქართველოს დამარცხება ომში, ბრიუსელში კონფერენცია არ შედგებოდა და საქართველოს 4,5 მლრდ ლოდარს არავინ არ გამოუყოფდა. ხოლო ასეთ პირობებში იმ შეცდომების საფუძველზე, რომელიც საქართველოს მთავრობამ წლების განმავლობაში დააგროვა და ამას დაემატა გლობალური ეკონომიკური კრიზისიც, საქართველო მართლაც დადგებოდა ძალზედ სერიოზული ეკონომიკური კრიზისის წინაშე.

– როგორ ფიქრობთ, ეს თანხა სრულად შემოვა? პოლიტიკოსთა და ექსპერტთა ნაწილი ფიქრობს, რომ დახმარებების ნაწილი ისევ იმ ქვეყნებში “დაილექტა”, საქართველოს ხელისუფლების გარიგების წყალობით.

– ასე მარტივად არ არის საქმე. ეს არის განცხადება 4,5 მლნ დოლარზე. როცა განცხადება გაკეთდა, ამის მერე დადგა საქართველოს მთავრობასა და შესაბამის დონორ ქვეყანასა, თუ ორგანიზაციას შორის ამ თემაზე თანამშრომლობის საკითხი. ხშირ შემთხვევაში საჭიროა ამ დონორი ქვეყნის შიდა სახელმწიფოებრივი პროცედურების გავლა. შეიძლება ამას დასჭირდეს პარლამენტი დამტკიცებაც კი. ამიტომ ის, რომ საქართველოს მთავრობას შეუძლია მიიღოს ეს 4,5 მლრდ, დამოკიდებული იქმება საქართველოს მთავრობის ეფექტიან მუშაობაზე საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დონორ ქვეყნებთან. თუ რაღაც საკითხებში საქართველოს მთავრობამ შეთანხმებას ვერ მიაღწია, ბუნებრივია, ეს თანხები არ წამოვა.

– ზემოთ საფრთხეები ახსენეთ. რამდენად დადგება საფრთხის ქვეშ ლარი?

– პირველი საფრთხე, რაც გამოიკვეთა ქვეყანაში აგვისტოს თვეში, ეს არის საბანკო კრიზისის საფრთხე, ანუ ბანკების გაკოტრების საფრთხე. ბანკების გაკოტრება ნიშნავს საქართველოს ეკონომიკისათვის დიდი დარტყმის მიუწენებას. ეს საფრთხე დღესაც არ არის დღის წესრიგიდან მოხსნილი. მაგრამ საბანკო კრიზისი თავიდან ააცილა ქვეყანას ეროვნულმა ბანკმა, რომელმაც პრაქტიკულად შესთავაზა საქმაოდ კარგი მექანიზმები საბანკო კრიზისის თავიდან აცილებისა, როდესაც დაიწყი რეფინანსირების ოპერაციები შედარებით დაბალი პროცენტით, რითაც ბანკებს მისცა სუნთქვის საშუალება. ეს იყო აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება. ნახევარი მლრდ დოლარის სესხი აქვს გადასახდელი სხვადასხვა კომერციულ ბანკებს ა.წ. გაზაფხულზე. ამ ვალების დაფარვა არ იქნება რთული, იმიტომ, რომ საქართველოში 800 მლნ დოლარზე მეტი შემოდის კონკრეტულად ბანკებისათვის. ეს ვალი დაიფარება. ექსპერტების მიერ გაკეთებული შეფასებით 700 მლნ დოლარია საჭირო იმისათვის, რომ ქართულმა საბანკო სისტემამ მდგრადობა შეინარჩენოს და განვითარდეს. აქდან 500 მლნ საგარეო ვალების დაფარვისთვის არის

გათვალისწინებული. ასე რომ, საბანკო სექტორი გადარჩება. მეორე საფრთხე სავალუტო კრიზისია. გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში და რუსეთის აგრესის შემდეგ ქვეყანაში შემცირდა ინვესტიციების შემოსვლა; შემცირდა საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილებიც, ანუ უცხოური ვალუტა ნაკლები რაოდენობით შემოდის. შესაბამისად დგება საკითხი ეროვნული ვალუტის აუცილებელი დევალვაციის შესახებ. მაგრამ თუ ეს დევალვაცია გაპეტდებოდა და გაპეტდება მცოცავი რეჟიმით დიდი რყევებისა და ნახტომების გარეშე, ამ შემთხვევში ეკონომიკა მოახერხებს ადაპტაციას ამ პროცესისადმი. მაგრამ გასული წლის 7 ნოემბერს, როდესაც მოულოდნელად ეროვნულმა ბანკმა აბსოლუტურად გაუმართლებელი და საეჭვო გადაწყვეტილება მიიღო და ლარი შოკურად გააუფასურა, ამან საფუძვლიანად შეარყია ქართული ეკონომიკა.

**– კიდევ არსებობს ლართან მიმართებაში ანალოგიური მიდგომის განმეორების საფრთხე?**

– რა თქმა უნდა და თანაც საკმაოდ დიდი. 7 ნოემბრის შემდეგ ეროვნული ბანკი პრაქტიკულად აგრძელებს ისეთივე პოლიტიკას, რაც იყო 7 ნოემბრამდე, ანუ იკარგება რეზერვები, ხოლო ლარის დევალვაცია ძალზედ უმნიშვნელო ტემპით მიმდინარეობს.

**– ანუ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის თვალსაზრისით სერიოზული შეცდომები იყო დაშეგძლი?**

– სერიოზული შეცდომები იქნა დაშეგძლი 7 ნოემბერს და ეს გრძელდება. მინდა თქვენი გაზეთის მკითხველს ვაცნობო, რომ დეკუმბრის პირველ ნახევარში ეროვნულ ბანკში კვლავ დაისვა საკითხი, ხომ არ გაემეორებინათ იგივე, რაც გააკეთეს 7 ნოემბერს, ანუ უნდოდათ ნახტომისებურად ლარის კურსის დაგდება. მერე გადაიფიქრეს. ეტყობა, შეეშინდათ ახალი წელი რომ მოდიოდა და სავალუტო ბაზარზე შექმნილ პანიკას შეეძლო სერიოზული პოლიტიკური რყევები გამოეწვია. აქ პრობლემა ის კი არ არის, რომ დევალვაცია ხდება. დევალვაცია უნდა ხდებოდეს და თანაც მუდმივ რეჟიმში, მცოცავი გრაფიკით და არა ნახტომებით. ობიექტურად სავალუტო კრიზისი ქვეყანაში არ უნდა ჩამოყალიბდეს იმ უცხოური

დახმარების გამოისობით, რომელიც ქვეყნაში შემოდის და შემოვა. მაგრამ იმის გამო, რომ ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას არ მოეთხოვა არანაირი პასუხი იმაზე, რაც 7 ნოემბერს იქნა გაკეთებული, და რომ ჩაითვალა, რომ ეს ყველაფერი იყო სწორედ გაკეთებული, თანაც ამის შემდეგ გრძელდება ზუსტად იგივე რეზერვების ხარჯვითი პოლიტიკა, რაც 7 ნოემბრამდე იყო, საფრთხე იმისა, რომ 7 ნოემბერი განმეორდეს, საკმაოდ დიდია. ანუ შეიძლება მოხდეს ხელოვნური პროგიცირება სავალუტო კრიზისისა...

– ბატონო ლადო, ამ კრიზისის პირობებში მუშავდება ეკონომიკური აღმავლობის, ფაქტობრივად ქვეყნის გადარჩენის გეგმა. რას იტყვით ამ ინიციატივაზე?

– გულახდილად გითხრათ, მე ასეთი ქმედებების არ მჯერა. ეს მე მაგონებს ოცი წლის წინანდელ პერიოდს, 1988-1989 წლებს. მაშინ ასეთი პროგრამების შექმნას აზრი პქონდა, რადგან სსრკ თავისი კომუნისტური რეჟიმითურთ ჯერ კიდევ არ იყო დანგრეული. დღეს სულ სხვა ვითარებაა. დღეს საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

– ანუ უშედეგო იქნება ამ ჯგუფის მუშაობა?

– პირველი, თუ ვინმეს უნდა რადაც გეგმის გაკეთება, უნდა დააყენოს საკითხი ან იმ კანონის აღდგენის, ან მსგავსი ახალი კანონის მიღების შესახებ. შემდეგ, თუკი ქვეყნაში უნდა დამუშავდეს ასეთი გეგმა და ასეთი გეგმა, რა თქმა უნდა, უნდა არსებობდეს, ეს პირველ რიგში, მთავრობას უნდა სჭირდებოდეს... ხმამაღალი განცხადება – “გეგმა ყველასთვის” უბრალოდ გაუგებარია იმიტომ, რომ თუ მთავრობას ის არ სჭირდება, როგორი კარგი გეგმაც არ უნდა დაიწეროს, მას განხორციელება არ უწერია!

– რისთვის სჭირდებათ ეს ეკონომიკური აღმავლობის პროგრამა, რომელსაც ამზადებენ?

– ინდიკატურ დაგეგმვაზე ნაციონალებმა შეგნებულად თქვეს უარი. ერთადერთი დეპუტატი, ვინც ნაციონალებს წინააღმდეგობას უწევდა, ვიყავი მე, ნაციონალური ფრაქციის ჯერ კიდევ წევრი. ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად, მათ ეს კანონი გააუქმეს. ახლა შემოიტანონ და დააყენონ თუ უნდათ.

**ინტერვიუს ბოლო ნაწილი, სადაც საუბარია ე.წ. “ეკონომიკურ გეგმაზე” გაზეთის რედაქციაშ ხელოვნურად დაამახინჯა: ეტყობა, იმ პიროვნებას, ვიზუაც საუბარი იყო ინტერვიუში რედაქცია ნაყიდი აქვს. ამიტომ ქვემოთ იხილეთ ინტერვიუს ის სრული ტექსტი, რომელიც გაზეთის რედაქციას გადაეცა უურნალისტის მიერ.**

## **ინტერვიუ ექსპერტ ლადო პაპავასთან**

– ბატონო ლადო, როგორ შეაფასებდით ქვეყანაში შექმნილ ვითარებას. რამდენად სერიოზული საფრთხეების წინაშე დგას მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში საქართველოს ეკონომიკა?

– ქვეყანაში შექმნილი ვითარება შეიძლება შეფასდეს, როგორც კრიზისული. ჩვენ სახეზე გვაქვს აშკარად როგორც პოლიტიკური კრიზისი, ასევე ეკონომიკური. მისი გამოვლენის რამდენიმე ნიშანი არსებობს. კრიზისი უმთავრესი გამომწვევი რუსეთთან ომის წაგება. დღეს ოფიციალურად თბილისი საქართველოს ტერიტორიის უფრო ნაკლებ ნაწილს აკონტროლებს, ვიდრე ომამდე აკონტროლებდა, რაც დღის წესრიგში აყენებს ხელისუფლების პოლიტიკური პასუხუსმგებლობის საკითხს. პოლიტიკური კრიზისი იმაშიც გამოიხატება, თუ რა სიტუაციაა შექმნილი პარლამენტში. პრაქტიკულად შეიძლება ითქვას, რომ ის, სამწუხაროდ, უსუსური ორგანოა, რომელსაც თითქმის არც არანაირი ფუნქცია არ აქვს. და მესამე ისაა, რაც ხდება მთავრობაში, როცა კეთდება ძალზედ გაუგებარი დანიშვნები, ცვლილებები, იქმნება გაუგებარი კომისიები. პრაქტიკულად ხდება ადგილზე ტპეპნა. ეს ყველაფერი საკმაოდ სერიოზული კრიზისის ნიშანია. ავიდოთ თუნდა ის, როგორ დაინიშნენ ბოლო მინისტრები და ვინ და როგორ დაინიშნა, მაგალითად, კულტურის და სპორტის მინისტრად. რაც შეეხება ეკონომიკურ სფეროს, ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტმა ერთხელ თქვა, რომ საქართველოში არის ეკონომიკური კრიზისი და ამის მიზეზი არის გლობალური კრიზისი. შემდეგ თქვა, არა საქართველოში ეკონომიკური კრიზისი ჯერ არ არისო, თანაც ქვეყანაში გლობალური კრიზისი ჯერ არ შემოსულაო. როგორც მას ტრადიციულად სჩვევია, თავისივე განცხადების უარმყოფელი განცხადება

გააკეთა. ასევე თქვა, რომ 2009 წელი იქნება მძიმე კრიზისული წელიო. მერე თქვა, რომ 2009 წელში კი იქნება სირთულეები, მაგრამ არ იქნება კრიზისულიო. რეალურად ქვეყანაში საკმაოდ სერიოზული ეკონომიკური კრიზისია და ეს გამოიხატება რამდენიმე პარამეტრში. პირველი – რა პრობლემებიც შეექმნა ჩვენს დასაქმებულებს. დასაქმება მცირდება. კერძო სტრუქტურები ამცირებენ თანამშრომლებს. ეკონომიკური აქტიურობის შემცირების პირობებში, ბუნებრივია, სამსახურებიდან დაითხოვება ხალხი. შედეგი კი ის არის, რომ რეალურად მცირდება ქვეყანაში წარმოებული პროდუქტი. ეს ყველა სექტორს ეხება. გნენავთ, საბანკო სექტორი ავიდოთ, გნებავთ სამშენებლო სექტორი, რომელიც თითქმის გაჩერებულია. პრაქტიკულად გაჩერებულია ეკონომიკის ყველა სეგმენტი. ასე, რომ კრიზისული ვითარება აშკარად ჩამოყალიბდა. მიუხედავად ამისა ეკონომიკური თვალსაზრისით, ქვეყანა მაინც არ დადგება კატასტროფის წინაშე, იმიტომ, რომ ძალზედ დიდი თანხა გაცხადდა ეკონომიკურ დახმარებაზე. მხედველობაში მაქვს გასული წლის 22 ოქტომბრის ბრიუსელის კონფერენცია, სადაც გადაწყდა, რომ 2010 წლის ჩათვლით ქვეყანაში უნდა შემოვიდეს 4,5 მლრდ დოლარის გრანტი და კრედიტი. ეს დიდი ოდენობის თანხაა იმისათვის, რომ ქვეყანა კატასტროფის წინაშე არ დადგეს. თან ერთი პარადოქსულ მომენტსაც მინდა მივაქციო უურადღება: რომ არა საქართველოს დამარცხება ომში, ბრიუსელში კონფერენცია არ შედგებოდა და საქართველოს 4,5 მლრდ დოლარს არავინ არ გამოუყოფდა. ხოლო ასეთ პირობებში იმ შეცდომების საფუძველზე, რომელიც საქართველოს მთავრობამ წლების განმავლობაში დააგროვა და ამას დაემატა გლობალური ეკონომიკური კრიზისიც, საქართველო მართლაც დადგებოდა ძალზედ სერიოზული ეკონომიკური კრიზისის წინაშე.

- როგორ ფიქრობთ, ეს თანხა სრულად შემოვა? პოლიტიკოსთა და ექსპერტთა ნაწილი ფიქრობს, რომ დახმარებების ნაწილი ისევ იმ ქვეყნებში “დაილექტა”, საქართველოს ხელისუფლების გარიგების წყალობით.
- ასე მარტივად არ არის საქმე. ეს არის განცხადება 4,5 მლნ დოლარზე. როცა განცხადება გაკეთდა, ამის მერე დადგა საქართველოს მთავრობასა და

შესაბამის დონორ ქვეყანასა, თუ ორგანიზაციას შორის ამ თემაზე თანამშრომლობის საკითხი. ხშირ შემთხვევაში საჭიროა ამ დონორი ქვეყნის შიდა სახელმწიფოებრივი პროცედურების გავლა. შეიძლება ამას დასჭირდეს პარლამენტი დამტკიცებაც კი. ამიტომ ის, რომ საქართველოს მთავრობას შეუძლია მიიღოს ეს 4,5 მლრდ, დამოკიდებული იქმება საქართველოს მთავრობის ეფექტიან მუშაობაზე საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დონორ ქვეყნებთან. თუ რაღაც საკითხებში საქართველოს მთავრობამ შეთანხმებას ვერ მიაღწია, ბუნებრივია, ეს თანხები არ წამოვა.

– ზემოთ საფრთხეები ახსენეთ. რამდენად დადგება საფრთხის ქვეს ლარი?

– პირველი საფრთხე, რაც გამოიკვეთა ქვეყანაში აგვისტოს თვეში, ეს არის საბანკო კრიზისის საფრთხე, ანუ ბანკების გაკოტრების საფრთხე. ბანკების გაკოტრება ნიშნავს საქართველოს ეკონომიკისათვის დიდი დარტყმის მიყენებას. ეს საფრთხე დღესაც არ არის დღის წესრიგიდან მოხსნილი. მაგრამ საბანკო კრიზისი თავიდან ააცილა ქვეყანას ეროვნულმა ბანკმა, რომელმაც პრაქტიკულად შესთავაზა საკმაოდ კარგი მექანიზმები საბანკო კრიზისის თავიდან აცილებისა, როდესაც დაიწყი რეფინანსირების ოპერაციები შედარებით დაბალი პროცენტით, რითაც ბანკებს მისცა სუნთქვის საშუალება. ეს იყო აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება. ნახევარი მლრდ დოლარის სესხი აქვს გადასახდელი სხვადასხვა კომერციულ ბანკებს ა.წ. გაზაფხულზე. ამ ვალების დაფარვა არ იქნება რთული, იმიტომ, რომ საქართველოში 800 მლნ დოლარზე მეტი შემოდის კონკრეტულად ბანკებისათვის. ეს ვალი დაიფარება. ექსპერტების მიერ გაკეთებული შეფასებით 700 მლნ დოლარია საჭირო იმისათვის, რომ ქართულმა საბანკო სისტემამ მდგრადობა შეინარჩენოს და განვითარდეს. აქდან 500 მლნ საგარეო ვალების დაფარვისთვის არის გათვალისწინებული. ასე რომ, საბანკო სექტორი გადარჩება. მეორე საფრთხე სავალუტო კრიზისია. გლობალური ფინანსური კრიზისის პირობებში და რუსეთის აგრესის შემდეგ ქვეყანაში შემცირდა ინვესტიციების შემოსვლა; შემცირდა საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილებიც, ანუ უცხოური ვალუტა ნაკლები რაოდენობით შემოდის. შესაბამისად დგება საკითხი ეროვნული

ვალუტის აუცილებელი დევალვაციის შესახებ. მაგრამ თუ ეს დევალვაცია გაკეთდებოდა და გაკეთდება მცოცავი რეჟიმით დიდი რყევებისა და ნახტომების გარეშე, ამ შემთხვევში ეკონომიკა მოახერხებს ადაპტაციას ამ პროცესისადმი. მაგრამ გასული წლის 7 ნოემბერს, როდესაც მოულოდნელად ეროვნულმა ბანკმა აბსოლუტურად გაუმართლებელი და საჭირო გადაწყვეტილება მიიღო და ლარი შოკურად გააუფასურა, ამან საფუძვლიანად შეარყია ქართული ეკონომიკა.

– კიდევ არსებობს ლართან მიმართებაში ანალოგიური მიზანის განმეორების საფრთხე?

– რა თქმა უნდა და თანაც საკმაოდ დიდი. 7 ნოემბრის შემდეგ ეროვნული ბანკი პრაქტიკულად აგრძელებს ისეთივე პოლიტიკას, რაც იყო 7 ნოემბრამდე, ანუ იკარგება რეზერვები, ხოლო ლარის დევალვაცია ძალზედ უმნიშვნელო ტემპით მიმდინარეობს.

– ანუ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის თვალსაზრისით სერიოზული შეცდომები იყო დაშვებული?

– სერიოზული შეცდომები იქნა დაშვებული 7 ნოემბერს და ეს გრძელდება. მინდა თქვენი გაზეთის მკითხველს ვაცნობო, რომ დეკემბრის პირველ ნახევარში ეროვნულ ბანკში კვლავ დაისვა საკითხი, ხომ არ გაემეორებინათ იგივე, რაც გააკეთეს 7 ნოემბერს, ანუ უნდოდათ ნახტომისებურად ლარის კურსის დაგდება. მერე გადაიფიქრეს. ეტყობა, შეეშინდათ ახალი წელი რომ მოდიოდა და სავალუტო ბაზარზე შექმნილ პანიკას შეეძლო სერიოზული პოლიტიკური რყევები გამოეწვია. აქ პრობლემა ის კი არ არის, რომ დევალვაცია ხდება. დევალვაცია უნდა ხდებოდეს და თანაც მუდმივ რეჟიმში, მცოცავი გრაფიკით და არა ნახტომებით. ობიექტურად სავალუტო კრიზისი ქვეყანაში არ უნდა ჩამოყალიბდეს იმ უცხოური დახმარების გამოისობით, რომელიც ქვეყანაში შემოდის და შემოვა. მაგრამ იმის გამო, რომ ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას არ მოეთხოვა არანაირი პასუხი იმაზე, რაც 7 ნოემბერს იქნა გაკეთებული, და რომ ჩაითვალა, რომ ეს ყველაფერი იყო სწორედ გაკეთებული, თანაც ამის შემდეგ გრძელდება ზუსტად იგივე რეზერვების ხარჯვითი პოლიტიკა, რაც 7 ნოემბრამდე იყო,

საფრთხე იმისა, რომ 7 ნოემბერი განმეორდეს, საკმაოდ დიდია. ანუ შეიძლება მოხდეს ხელოვნური პროვიციონება სავალუტო კრიზისისა...

– ბატონო ლადო, ამ კრიზისის პირობებში დეპუტატი გოგუაძე ეკონომიკური აღმავლობის, ფაქტობრივად ქვეყნის გადარჩენის გეგმას ამჟავებს. რას იტყვით გოგუაძის ამ ინიციატივაზე?

– გულახდილად გითხრათ, მე ასეთი ქმედებების არ მჯერა. ეს მე მაგონებს ოცი წლის წინანდელ პერიოდს, 1988-1989 წლებს. მაშინ ასეთი პროგრამების შექმნას აზრი ჰქონდა, რადგან სსრკ თავისი კომუნისტური რეჟიმითურთ ჯერ კიდევ არ იყო დანგრეული. დღეს სულ სხვა ვითარებაა. დღეს საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა. რაც შეეხება ბატონ გოგუაძეს, თუ მეხსიერება არ მდალატობს, ის საქართველოს პარლამენტის დეპუტატია და თანაც ნაციონალური მოძრაობის ფრაქციის წევრიცაა. ნახევარ წელზე მეტია, რაც პარლამენტია და ერთხელ მაინც მოგისმენიათ გოგუაძის რაიმე განცხადება ეკონომიკურ თემაზე? მე რაღაც არ მახსოვს. რამდენჯერ განიხილეს 2008 წლის ბიუჯეტში ცვლილებები, 2009 წლის ბიუჯეტიც მიიღეს. თუ გოგუაძეს რამე არ მოსწონს, რატომ ერთხელ მაინც არ ამიღო ხმა? მკითხველს შევახსენებ, რომ ქვეყანას ჰქონდა ასეთი გეგმების შედგენის მექანიზმი, რომწლიც რეგულირდებოდა ინდიკატური დაგეგმის შესახებ კანონით, რომელიც რევოლუციის შემდეგ მთავრობის ინიციატივით პარლამენტმა გააუქმა.

– ანუ უშედეგო იქნება ამ ჯგუფის მუშაობა?

– პირველი, თუ გოგუაძეს უნდა რაღაც გეგმის გაკეთება, უნდა დააყენოს საკითხი ან იმ კანონის აღდგენის, ან მსგავსი ახალი კანონის მიღების შესახებ. შემდეგ, თუკი ქვეყანაში უნდა დამუშავდეს ასეთი გეგმა და ასეთი გეგმა, რა თქმა უნდა, უნდა არსებობდეს, ეს პირველ რიგში, მთავრობას უნდა სჭირდებოდეს... ხმამაღალი განცხადება – “გეგმა ყველასთვის” უბრალოდ გაუგებარია იმიტომ, რომ თუ მთავრობას ის არ სჭირდება, როგორი კარგი გეგმაც არ უნდა დაიწეროს, მას განხორციელება არ უწერია!

– იქნებ გოგუაძეს არ მოსწობს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა და ცვლილებების შეტანა უნდა?

– დიდი ბოდიში, მერე სადმე თქვა ეს? გოგუაძეს აქვს საპარალემნტო ტრიბუნა და თუ რამე არ მოსწონს, უნდა თქვას. თანაც მას ეს არ უნდა გაუჭირდეს – ის ხომ უმრავლესობის წევრია!

– რისთვის სჭირდება გოგუაძეს ეს ეკონომიკური აღმავლობის პროგრამა, რომელსაც ამზადებენ?

– მას რომ საქმის გაკეთება უნდოდეს, ყველაზე სწორია, პარალენტში დააყენოს საკითხი და მთავრობას ასეთი გეგმის შემუშავება მოსთხოვოს. გამოთქვას თავის მხრიდან მზაობა, რომ მთავრობას დაუდგება გვერდზე. გამოიჩინოს ინიციატივა და დეპუტატებს შესაბამისი კანონპროექტი შესთავაზოს. ინდიკატურ დაგეგმვაზე ნაციონალებმა შეგნებულად თქვეს უარი. ერთადერთი დეპუტატი, ვინც ნაციონალებს წინააღმდეგობას უწევდა, ვიყავი მე, ნაციონალური ფრაქციის ჯერ კიდევ წევრი. ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად, მათ ეს კანონი გააუქმეს. ახლა შემოიტანონ და დააყენონ თუ უნდათ. თქვენ რომ მკითხეთ, რაში სჭირდება გიორგი გოგუაძეს ეს ყველაფერი, შეიძლება ვცდები, მაგრამ შთაბეჭდილება მრჩება, რომ ის ნაციონალებმა “გადაგდეს”. მან საქმაოდ დიდი თანხები გაიღო ნაციონალური მოძრაობის მხარდასაჭერად ჯერ კიდევ მაშინ, როცა სახალხო ბანკის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. შემდეგ საქმაოდ ბევრი თანხები დახარჯა არჩევნებში. გახდა დეპუტატი. ყველა ელოდა, რომ როგორც ნაციონალური მოძრაობის რიგებში ერთადერთი გამორჩეული ფინანსისტი (თუნდაც იმიტომ, რომ საბანკო სექტორიდან მოღიოდა) საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს ჩაუდგებოდა სათავეში, სინამდვილეში კი თავმჯდომარედ ქიმიკოსი დაინიშნა... ანუ გოგუაძე აღმოჩნდა “გადაგდებული”. ახლა მას აქვს სურვული იმისა, რომ ყველას დაანახოს, მეც ვვარსებობო. შემდეგ, მექანიზმი ძალიან მარტივია: როგორც წესი, ყველა მიღის ჩვენს პარტიარქთან მხარდაჭერის მისაღებად. წარმოგიდგენიათ, ვინმე მივიღეს უწმინდესთან და უნეტარესთან და უთხრას კარგი საქმის გაკეთება მინდა და მან ის არ დალოცოს. მერე მიღის სპეციალისტი: აი, პარტიარქის ლოცვა-კურთხევით ვაკეთებ ამასა და ამასო...

– იქნებ გოგუაძეს არ უნდა მთავრობასთან დაპირისპირება და უნდა, რომ ქვეყნის სასიკეთოდ რაღაც აკეთოს?

– საკითხი სულ სხვა ჭრილში დადგებოდა გოგუაძე დღეს ნაციონალური მოძრაობის და პარლამენტის წევრი რომ არ იყოს. მაშინ პოლიტიკურად ამ სიტუაციას სულ სხვა კუთხით შევაფასებდი. თუმცა რეალური შედეგის თვალსაზრისით მაშინაც უაზრობად ჩავთვლიდი ამ საქმია წამოწყებას, იმიტომ, რომ გეგმა იყოს მთავრობის სამოქმედო დოკუმენტი და არა სამეცნიერო-პოპულარულუ ნაშრომი. დაგუშვათ დაწერა მან ეს გეგმა. თუ ნაციონალური მოძრაობა არ ენდობა გოგუაძეს და მას თანამდებობასაც არ ანდობს, მის მიერ ვიდაცეცებთან ერთად (როგორი ავტორიტეტულებიც არ უნდა იყვნენ ისინი), დაწერილ თუნდაც იდეალურ დოკუმენს, მით უფრო რომ ის ვიდაცეცები ამ ხელისუფლებისთვის ძირითადად ჩარცენილები არიან, მთავრობა მიიღებს? დღეს სახელმწიფის აქვს ასეთი საკუთარი სამეცნიერო რესურსი, რომლის გამოყენებაც მას თუ დასჭირდა ყოველთვის შეუძლია. მართალია, ვარდების რევოლუციის შემდეგ ეკონომიკის სამეცნიერო ინსტიტუტების უმრავლესობა დახურეს, მაგრამ დარჩა ერთი – პატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი. ამ ინსტიტუტში ახალი წლია წინა დღეებში ძალიან საინტერესო კონფერენცია ჩატარდა, რომელიც ეხებოდა ეკონომიკური განვითარების პრობლემებს თანამედროვე საქართველოში. ინსტიტუს აქვს ძლიერი პოტენციალი. თუ მთავრობას რამის გაკეთება უნდა, მიმართოს ამ ინსტიტუტს. ეს საბიუჯეტო დაწესებულებაა, სადაც მაღაკვალიფიციური კადრები მუშაობენ და გამოიყენოს მთავრობამ მის ხელთვე არსებული ეს შესაძლებლობა. ასე რომ, ჩემი ღრმა რწმენით გოგუაძის გეგმა დღეს ემსახურება თავად გოგუაძის გაპიარებას..., რაც პიარზე აგებულ სახელმწიფოში, სამწუხაროდ, ცუდად სულაც არ ითვლება.

– ბატონო ლადო ეკონომიკურ კრიზისზე ისაუბრა პატრიარქმა თავის საშობაო ეპისტოლეშიც. როგორ ფიქრობთ გაითვალისწინებს პატრიარქის შეგონებას პრეზიდენტი? ჩანს თითქოს პრეზიდენტი პატრიარსაც პიარისთვის იყენებს.

– რა თქმა უნდა, იყენებს და უფრო მეტიც. ეხლა გამოდიან ხელისუფლების წარმომადგენლები და ამბობენ პატრიარქმა საშობაო ეპისტოლეში რა კარგი მოსაზრებები გამოთქვაო. არც თუ დიდი ხანია გასული

მას შემდეგ, რაც ერთ-ერთ ეპისტოლებში პატრიარქმა დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომ საქართველოს წყალი არ უნდა გაიყიდოს, რადგან ეს სტრატეგიული რესურსია. გაითვალისწინა კი ხელისუბჯლებამ პატრიარქის ეს შეგონება? რა თქმა უნდა, არა. პატრიარქის სიტყვებს მაშინ ფასი არ ჰქონდა და ახლა გახდა ფასეული? პარიარქს აქვს საკმაოდ მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია, რომელიც ძალზედ სერიოზულ სიგნალებს აძლევს საზოგადოებას, მთავრობას, ზოგადად ხელისუბჯლებას. მასგრამ როცა გუშინ წყალზე საუბრობდა და მიმართა მან თავის მრევლს – საქართველოს ყველა მარლმადიდებელს, რომელშიც მთავრობაც უნდა შედიოდეს, მთავრობამ მას არ დაუჯერა. რაც შეეხება პოლიტიკოსების განცხადებებს, რომ რა კარგი სიტყვები თქვა პატრიარქმაო, ეს რა მათ რომც არ გვითხრან, ჩვენ რა თავად ვერ მივხვდებით. ჩვენ მთავრობისგან კომენტარები კი არა, ქმედება გვჭირდება.

– და ბოლოს, ბატონო ლადო, რას იტყვით უწყებათაშორის ანტიკორუფციულ ჯგუფზე, რომელიც ზურაბ აღეიშვილის ხელმძღვანელობით შეიქმნა და კახა ბენდუქიძე და კონტროლის პალატის ხელმძღვანელები შედიან?

– იცით, ნამდვილად არ მეგონა, რომ დღეს ასეთი კომისია შეიქმნებოდა იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი, ისევე როგორც მთელი პოლიტიკური ელიტა, რევოლუციის შემდეგ ტრაბახობდა, რომ საქართველოში კორუფცია აღარ არისო. ამ კომისიამ დაადასტურა, რომ “ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო”. ეს კომისია თავისთავად ნიშნავს, რომ კორუფციასთან ბრძოლის სახელმწიფო უწყებები თავის მოვალებას თავს ვერ ართმევენ. როცა მთავრობის და პოლიტიკური ელიტის წევრები თვითონ აკონტრლებენ ბიზნესს, თვითონ აგებინებენ სახელმწიფო ტენდერებს თავისივე ფირმებს, თუ მათ მაკონტროლებელ ორგანოს ვქმნით, მაშინ მთავრობის წევრები იქ აღარ უნდა იყვნენ. კონტროლის პალატას და პროკურატურას ვინმე უკრძალავს, რომ გააგრძელონ თავისი მუშაობა ანტიკორუფციული კუთხით? საერთოდ დიმილის მომგვრელია, როცა ასეთ კომისიაში აღმოჩნდება ისეთი თანამდებობის პირი, რომელსაც შრომის წიგნაკში უწერია, რომ არის მთავრობის კანცელარიის

გამგე. უცხოეთში არსად ამ თანამდებობნის პირს გადაწყვეტილებებს არ აღებინებენ...

**შორენა კოწოწაშვილი**